წერილის ნომერი: **66-662236245**
თარიღი: **28/12/2022**

**ადრესატი:** სოფიო კუპატაძე
**პირადი ნომერი:** 60001069667
**მისამართი:** საქართველო, ქალაქი ქუთაისი, მიხეილ ბუხაიძის ქუჩა, N 7, ბინა 4

ქალბატონო სოფიო,

2022 წლის 14 დეკემბერის №04/662234840-66 განცხადებით, ითხოვთ ბაღდათის მუნიციპალიტეტში, უზურფრუქტით გადაცემული შენობის სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის, მშენებლობის ნებართვას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიამ განიხილა თქვენს მიერ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია და გამოსცა ბრძანება, მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ (№ბ66.66223602 თარიღი 26/12/2022), რასაც გიგზავნით დანართის სახით.

დანართი 1 (ერთი) ფურცელი,

პატივისცემით,

კახა ენუქიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია-ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

**საქართველო**

**ბაღდათის მუნიციპალტეტის მერია**

**GEORGIA**

**BAGHDATI MUNICIPALITY GOVERMENT HALL**

---

ბრძანება:**ბ66. 66223602**

თარიღი:**26/12/2022**

**ბაღდათის მუნიციპალიტეტ სოფელ ნერგეეთში, ბაღდათის მუნიციპალიტეტის კუთვნილ მიწის ნაკვეთში (ს/კ 30.10.31.315) ააიპ განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრისთვის უზურფრუქტით გადაცემული (2022 წლის 5 სექტემბერი) არსებული შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის დოკუმენტის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის'' მე-16 მუხლის, 54-ე მუხლის I ნაწილის ,,ე,თ'' ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა'' პუნქტისა და ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 51-ე, 52-ე, 96-ე და მე-100-ე მუხლების, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის თავი XI-ე, XII-ე; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255-ე დადგენილების თავი VII-ის, 2020 წლის 4 დეკემბრის საქართველოს მთავრობის N732 „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები" შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.შეთანხმდეს, ბაღდათის მუნიციპალიტეტ სოფელ ნერგეეთში, ბაღდათის მუნიციპალიტეტის კუთვნილ მიწის ნაკვეთში (ს/კ 30.10.31.315) ააიპ განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრისთვის უზურფრუქტით გადაცემული (2022 წლის 5 სექტემბერი) არსებული შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის დოკუმენტის პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა.

2.გაიცეს მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალოს სანებართვო მოწმობა.

3.მშენებლობის ვადა განისაზღვროს 19 (ცხრამეტი) თვით.

4.კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურს.

5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბაღდათის მაგისტრატ სასამართლოში, მის: ბაღდათი ვაჟა-ფშაველას №7.

6.ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

კახა ენუქიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია-ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი